საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს და ხვალ თბილისობაა!
ივაჭრეთ, მოილხინეთ, დაისვენეთ!

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 155-156 (2072) | შაბათი, 28 ოქტომბერი, 1995 წელი | ფასი 50 თეთრი.



ჟამი დიდი არჩევნისა

დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატის

შადიმან ხელაძის

29

საარჩევნო ფონდი

იწვევს

№3 საბურთალოს ოლქის

ყველა მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატს

ამომრჩევლებთან შეხვედრაზე:

30 ოქტომბერს 16 სთ. - დიდი დიღომი, დემეტრე თავდადებულის ქ. №6, №187-ე საშ. სკოლა

31 ოქტომბერს 15 სთ. - აკურის ქ. №8, ნიკო მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი

გთხოვთ მობრძანდეთ

ექსპრესინტერვიუ

## ერთი შეკითხვა თბილისელ მოქალაქეებს

**— თბილისობა აღსდგა და სრულიად განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა — ამ შეჭირვების ჟამს დედაქალაქის სხვადასხვა კუთხეში გაიმართება ბაზრობები და, როგორც გვპირდებიან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, სამრეწველო ნაწარმი შედარებით იაფად გაიყიდება. თქვენ როგორ აფასებთ ყოველივე ამას?**

**გოგი დოლიძე, პროფესორი:** — თბილისობის ზეიმის აღდგენა უდიდესი საქმეა. მასში ძალიან დიდი აზრი ძევს — ადამიანებს უნდა შთავბეროთ სულიერი მხნეობა. არა მგონია, ამ დღესასწაულის დღეებში რომელიმე თბილისელი ან, საერთოდ, ქართველი კაცი, არ გამოვიდეს თბილისის ქუჩებში, არ მიიღოს მონაწილეობა სახალხო ზეიმში. გაიზიაროს შენი ქალაქის სიხარული — ეს ხომ საპატიო საქმეა.

მე უცილობლად მონაწილეობას მივიღებ თამადობის კონკურსში და, ვფიქრობ, პირველ ადგილსაც დავისაკუთრებ, აქაც ყველას შევეჭიბრები თბილისის სიყვარულში!

ადამიანებს მოენატრათ ერთად ყოფნა, გალამაზებული ქუჩების, გამხიარულებული სახეების ხილვა. მე, ჩემი ჯგუფის თვრამეტ წევრთან, ჩემს სტუდენტებთან ერთად გავერევი ამ ზეიმში და ყოველივეს ფირზე აღვბეჭდავთ, გადავიღებთ ვიდეოზე, ეს ხომ ჩვენი მოვალეობაა.

თბილისობა ერთხელ კიდევ დაგვანახებს, თუ რამდენი რამ მოვიქელით ამ წლების მანძილზე.

თბილისობაზე დიდი ბაზრობაც იმართება. იმედია, საზამთროდ სურსათსაც შევიძენთ, კარგ კახურ ღვინოსაც დავლევთ და საქართველოს სადღეგრძელოსაც ვიტყვით, ჩვენი ქვეყნის მომავალს დავლოცავთ!

**თეა ჩხაიძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი,** — ძალიან მიხარია ამ ზეიმის აღდგენა. თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული პროგრამით შევიტყვე: რამდენი საინტერესო რამ იმართება ამ დღეებში ჩვენს დედაქალაქში. ჩემს მეუღლესთან, ირაკლი თურმანაულთან ერთად, ფილარმონიაში უკვე დავესწრით ბრაზილიელი მომღერლის ტანია მარიას კონცერტს.

ხვალ ჩემს პატარა მარიამთან და ირაკლისთან ერთად გავისეირნებ თბილისის ქუჩებში, მით უმეტეს, ამინდს კარგი პირი უჩანს; დავესწრებით კონცერტებს, წავალთ ვაკის პარკში, შევხვდებით მეგობრებს...

მიხარია ისიც, რომ ჩემს სახლთან ახლოს იმართება ბაზრობა და ზამთრისათვის მოვიმარაგებთ პირნახულს. — რასაკვირველია, დედ-მამის მოცემული თანხით, თორემ ჩვენი სტიპენდია ხომ გზის ფულადაც არ გვყოფნის, ამბობენ: ბაზართან შედარებით ყველაფერი ნაკლებ ფასებში გაიყიდებაო. ვნახოთ, რამდენად გამართლდება ეს დაპირება.

**სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები ეკა ინუქიძე (თეთრიწყაროს რაიონი) და მაკა მამუკელაშვილი (ლაგოდეხის რაიონი):** — პატარები ვიყავით მშობლებმა პირველად თბილისობაზე რომ ჩამოგვიყვანეს. თავიდანვე შევიყვარეთ იგი. ახლაც გვსიამოვნებს ეს დღესასწაული. ესაა ოღონდ, უფრო ბევრი გასართობი და ლამაზი ღონისძიებები უნდა ჩატარდეს. გვპირდებიან მოჭარბებულ ბაზრობებზე იაფად შემოგთავაზებთო პროდუქტებს, მაგრამ ნამდვილად ასე იქნება? ადრე მოცემული პირობებივით ხომ არ გააცუდებენ სიტყვას?

**ლევან თოფჩიშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პენსიონერი:** — მოხარული ვარ, რომ აღდგა თბილისელების შესანიშნავი ზეიმი. სამწუხაროდ, ოთხ ლარამდე პენსიის წყალობით ბაზრობებზე შემოტანილი პროდუქტით შვილებსა და შვილიშვილებს ბევრი ვერაფრით გავახარებ... საჭიროა კოლაფსიდან მთლიანად თავის დაღწევა არა ისე, როგორც არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა უმრავლესობა არაკონკრეტული დაპირებებით აპირებს, არამედ ისე, როგორც შევარდნაძე აკეთებს, ჯერჯერობით ყველაზე რეალური და პრაგმატული ნაბიჯებით. ამჟამად მისგან მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო.

**თამარ ქიტიაშვილი, — ჩაჩავას სახელობის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი:** — მე პირადად ისე მიჭირს, — ავადმყოფი ბავშვის პატრონი ვარ, მრავალშვილიანი დედა, — რომ მიმაჩნია, ზარზეიმების გადახდის დრო ნამდვილად არ არის. ოჯახში მარტო მე ვმუშაობ, მეუღლე არა მყავს, უფროსი ვაჟი სტუდენტია, შვილის საავადმყოფოში დასაწვენად 350 ამერიკული დოლარი მომთხოვეს, ახლობლებში ფული ვერ ვიშოვნე, სახელმწიფო არ მეხმარება, ვის მივმართო აღარ ვიცი?! ისე, რასაკვირველია, დიდი შეღავათია, თუ რაიონებიდან ჩამოტანილ სურსათს იაფად მოგვყიდიან. მადლობის მეტი რა გვეთქმის.

**ცისანა კაკაბაძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი.** — თბილისობის ზეიმს საფუძველი რომ ჩაეყარა, არ დავმალავ და უნდა ვაღიარო, მაშინვე არ მომწონდა ჩემში ჩარჩენილი ერთი კადრის გამო — ხელგაშვერილი ხალხი ხელისგულზე ლომსა და ფლამუშს რომ ითხოვდა დასადებად. კარგი იქნება, თუ ამ ღონისძიებას დღესაც იმგვარი „პროვინციული" სურნელი არ დაჰყვება.

**ზურაბ კლდიაშვილი, პოეტი,** — ასე არ ჯობია, ხვავით და ბარაქით გვეწვეოდეს რაიონიდან ხალხი, ვიდრე მიტინგებზე დასასწრებად? ამ გაჭირვების ჟამს დახმარება არაა ის, ნახევარ ფასად რომ პროდუქტს შემოგვთავაზებენ? პირადად მე ყველანაირად ვეთანხმები ამ ღონისძიების ორგანიზატორებს მისი ფართო სპექტრის წარმოჩენისათვის. მთავარია, რომ თანდათან უკეთესობისაკენ მივდივართ.

საქართველოს ეროვნული ბანკის

## ბრძანება

### კუპონების ლარზე გადაცვლის ოპერაციების შეწყვეტის შესახებ

1) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის № 363 ბრძანებულების მე-8 პუნქტის თანახმად, მ/წლის 1 ნოემბრიდან საბანკო დაწესებულებებში შეწყდეს ეროვნული ბანკის კუპონების ლარზე გადაცვლის ოპერაციები;

2) ამასთან დაკავშირებით, 1995 წლის 1 ნოემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს ეროვნული ბანკის 1995 წლის 2 ოქტომბრის № 24 ბრძანება „კუპონების ლარზე გადაცვლის დამატებითი ღონისძიების შესახებ";

3) ეროვნული ბანკის განყოფილებებმა მ/წლის 3 ნოემბრამდე უზრუნველყონ მათთან არსებული კუპონების ნაშთების ფორმირება და მათი ეროვნული ბანკის ცენტრალურ საცავში ჩამოტანა.

პრეზიდენტი
**ნოდარ ჯავახიშვილი.**

1995 წლის 25 ოქტომბერი.

## ხმა მიეცით ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას

„**ჩვენ** არ გვჭირდება ჩვენი ვინაობის ახსნა-განმარტება; საქართველო და მისი დამოუკიდებლობა ჩვენ გვწამდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ზოგს ეს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა, ხოლო ზოგი კიდევ ამას გააფთრებით ებრძოდა" (სპირიდონ კედია).

წლევანდელი არჩევნები იძლევა შანსს, პარლამენტში შეიქმნას თვისობრივად ახალი უმრავლესობა, რომელსაც პირადი ერთგულების ნიშანი კი არ გააერთიანებს, არამედ პოლიტიკური მრწამსი, ქვეყნისა და ერის ინტერესები, რომლის საფუძვლებისა და მიზნების განმსაზღვრელ ორიენტირად მორალურ ფასეულობათა მიმართ პატივისცემა დამკვიდრდება. დღეს, ისევე, როგორც გუშინ, ჩვენ ვიბრძვით საქართველოს გათავისუფლებისა და მისი ბედნიერი მომავლისათვის. დღესაც, ისევე, როგორც გუშინ, ვებრძვით საქართველოს გარეშე მტერს და შინაურ ორგულს. სამშობლოს სამსახური ჩვენი მუდმივი მდგომარეობაა, მისი ინტერესები კი — ჩვენთვის უზენაესი კანონია. მხოლოდ პოლიტიკური ნება და მტკიცე, ძლიერი, ეროვნულ პოზიციებზე მდგარი, ჭეშმარიტი დემოკრატიის ერთგული ხელისუფლება ააშენებს ქართულ სახელმწიფოს და დაუმკვიდრებს მას ღირსეულ ადგილს მსოფლიო თანამეგობრობაში.

გიორგი ჭანტურია და მისი მეგობრები ყოველთვის, ყველაზე რთულ სიტუაციებში საქმით ამტკიცებდნენ, რომ არსებობს ძალა, რომლის სამოქმედო პრინციპი იყო, არის და იქნება — სიმართლე ყველგან და ყოველთვის!

**თანამემამულენო! მხარი დაუჭირეთ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, თითოეულ ეროვნულ-დემოკრატს! ამჯერად მაინც ნუ გაუშვებთ შანსს, რომელიც ისტორიაში იშვიათად მეორდება!**

### № 26 ედპ

(ეროვნულ-დემოკრატიული პარტია)



ედპ-ს დელეგაციის შეხვედრა ევროპარლამენტის თავმჯდომარესთან ეგონ კლეფშთან

„მე მწამს, რომ ეს საპატიო ტვირთი საიმედო მხრებზე იქნება შემოდებული და აუცილებლად ასრულდება ის შეპირება, რაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ივერიონის მონასტრის ქართველ ბერებს მისცა—

საქართველო აყვავდება,
საქართველო დაწყნარდება,
საქართველო გაბრწყინდება."

**გიორგი ჭანტურია.**

## ედუარდ შევარდნაძე კახეთში

**26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე კახეთის რეგიონს ესტუმრა.**

სახელმწიფოს მეთაურმა და მისმა თანმხლებმა პირებმა კახეთში დაათვალიერეს წნორის მშენებარე მცირე 600-კილოვატიანი ჰესი. ბატონი ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა ადგილობრივ მოსახლეობას, ეწვია თელავის სამხედრო გარნიზონს, სადაც 26 ოქტომბერს შეიარაღებული ძალების კიდევ ერთი ქვედანაყოფი შეიქმნა. სახელმწიფოს მეთაურმა წარმატება უსურვა სამხედრო მოსამსახურეებს მომავალ საქმიანობაში.

შემდეგ ბატონი ედუარდ შევარდნაძე და მისი თანმხლები პირები სოფელ ვაქირში ეწვივნენ ვასო გოძიაშვილის სახლ-მუზეუმს, თელავში კი სოლომონ დოდაშვილის სახლ-მუზეუმს, დაესწრნენ თელავის საერთაშორისო სატელეფონო სადგურის გახსნას, დაათვალიერეს ალავერდის სამონასტრო კომპლექსი, გაეცნენ სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობას, მონასტრის ამჟამინდელ მდგომარეობას. როგორც ძეგლთა დაცვის კომიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, მონასტრის აღდგენითს სამუშაოებს, ბევრ სხვა გასაჭირთან ერთად, სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ფინანსური პრობლემები. თუმცა ამ პრობლემების გარეშეც ძეგლის შესაფერის რესტავრაციას რამდენიმე წელი დასჭირდება. ითქვა, რომ სასურველია შეიქმნას ალავერდის აღდგენის ფონდი, რომელიც იზრუნებს მონასტრის რესტავრაციაზე. ალავერდის ასაღდგენად ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ 2000 ლარი გადარიცხა, ხოლო „საქენერგოს" დირექტორმა დ. ზუბიტაშვილმა და გაერთიანებული ქართული ბანკის პრეზიდენტმა ვანო ჩხარტიშვილმა — ათ-ათი ათასი ლარი.

შემდეგ თელავის სახელმწიფო თეატრში გაიმართა თელავის აქტივთან შეხვედრა, რომელზეც განიხილეს კახეთის რეგიონის დღევანდელი ეკონომიკური და სოციალური ვითარება.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა თელავის გამგებელმა მედეა მეზვრიშვილმა, რომელმაც ილაპარაკა თელავში წამოწყებულ სასიკეთო ძვრებზე. აღნიშნა, რომ რაიონში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა სასმელი წყლის პრობლემაა, თუმცა სილნალის წყალსადენების ამუშავებით იგი ალბათ გადაწყდება. აღნიშნა, რომ უკვე რამდენიმე თვეა კახეთის რეგიონში, კერძოდ, თელავში იგრძნობა სტაბილიზაცია.

სიტყვები წარმოთქვეს საგარეჯოს გამგებელმა თამაზ ქევხიშვილმა, კახეთის საბაჟოს სამსახურის უფროსმა გივი დარჩიაშვილმა, თელავის ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა მაყვალა ელისაბედაშვილმა, კონტროლის პალატის რეგიონალური სამსახურის უფროსმა ვაჟა ნაცვლიშვილმა, ლაგოდეხის გამგებელმა ნუგზარ კაკიაშვილმა, სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულმა კახეთის რეგიონში გიორგი არსენიშვილმა, მოწვეულმა სტუმრებმა — განათლების მინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ, „საქენერგოს" დირექტორმა დავით ზუბიტაშვილმა, გაერთიანებული ქართული ბანკის პრეზიდენტმა ვანო ჩხარტიშვილმა.

თათბირის შედეგები შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მან დადებითად შეაფასა კახეთის რეგიონში არსებული ვითარება, მოიწონა თელაველთა სასიკეთო წამოწყება წყლის პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ სამომავლოდ საქართველოს დიდი პერსპექტივები აქვს არა მარტო როგორც სატრანზიტო ქვეყანას — მისი ცალკეული რეგიონები სამეცნიერო და კულტურულ ცენტრებად გადაიქცევიან.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა თათბირის მონაწილეებსა და მასპინძლებს გულთბილი მიღებისათვის და წარმატებები და წინსვლა უსურვა კახეთს.

**სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.**

## 5 ნოემბერი არჩევნების დღეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელმწიფოს მეთაურის დავალებები—კონტროლზე!

**ეს რუბრიკა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე ერთი წლის წინათ გაჩნდა. რა შედეგი მოიტანა ჩვენმა ერთწლიანმა ურთიერთთანამშრომლობამ? ამჟერად ეს კითხვა დაედო საფუძვლად სახელმწიფოს მეთაურის დავალებების კონტროლისა და ცენტრალურ მმართველობით ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან ჰენრი კუპრაშვილთან საუბარს.**

— სახელმწიფოს მეთაურის მიერ წლეულს 1.500-მდე დავალებაა გაცემული. (გამოვიდა 500 ბრძანება, 200-ზე მეტი განკარგულება, რეზოლუცია დაედო 500-ზე მეტ დოკუმენტს, რაშიც ყოველდღიური დაძაბული შრომაა ჩადებული). სახელმწიფოს მშენებლობის ყოველ უბანს, რგოლს, მიმართულებას, ყოველ ნიუანსს ხომ ღრმად წვდომა, გააზრება, დრო და ენერგია სჭირდება. მით უმეტეს, როდესაც ყველაფერი თავიდან არის ასაწყობი და ასაშენებელი, როდესაც დანგრეულია ან დაზიანებულია სახელმწიფო სტრუქტურები, ეკონომიკა, ადამიანთა ფსიქიკა და ა. შ.

სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებები, განკარგულებები და სხვა დავალებანი მიმართულია სწორედ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის, სახელმწიფოს ფეხზე დაყენებისა და განვითარების ურთულესი პრობლემების გადასაჭრელად.

**— მაგრამ ბევრი სახელმწიფო მოხელე, უპასუხისმგებლოდ რომ ეკიდება სახელმწიფოს მეთაურის დავალებების შესრულებას, ამას რადიოსა და პრესაში პირადად თქვენი პრინციპული გამოსვლებიც ცხადყოფს.**

— დიახ, ჩვენი სამსახური უკომპრომისოა იმ თანამდებობის პირთა მიმართ, ვინც აფერხებს სახელმწიფოს მეთაურის დავალებების შესრულებას. ამ მხრივ ფართოდ ვიყენებთ საინფორმაციო საშუალებებსაც. „პიკის საათში“ 50-მდე გადაცემა მოეწყო (წამყვანი ლ. მაღალაშვილი), სახელმწიფოს მეთაურის დავალებების შეუსრულებლობის შესახებ გამოქვეყნდა 40 საგაზეთო მასალა, რომლებშიც დასახელებული იყო კონკრეტული პასუხისმგებელი პირი და უწყება. ამ თემას აშუქებს აგრეთვე „გულანი“ და „ბანკები და ფინანსები“. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე დამკვიდრებული რუბრიკით (სახელმწიფოს მეთაურის დავალებები კონტროლზე!) გამოქვეყნებული მასალები ხომ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მაღალი თანამდებობის პირებს. რასაკვირველია, ჩვენი სამსახურისა და ჟურნალისტების ერთიანი ძალისხმევა გარკვეულ შედეგს იძლევა. დავალებების უდიდესი ნაწილი შესრულდა და ეს ჩანს კიდეც ქვეყნის უკეთესობისაკენ წინსვლის ტენდენციებში, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ჭიანურდება დავალებების შესრულება. წინასაარჩევნო პერიოდში გამოიკვეთა ერთი უარყოფითი ტენდენცია. მინისტრთა კაბინეტი და რიგი სამინისტროები ზოგიერთ გაჭიანურებულ დავალებებზე ითხოვენ ვადის გაგრძელებას, მაგალითად, 10-15 დეკემბრამდე და ა. შ., რაც ყოვლად დაუშვებელია.

**— თქვენი აზრით, დავალებების შეუსრულებლობის ან გაჭიანურების მიზეზი ზოგჯერ თვით სახელმწიფოს მეთაურის მიერ გაცემული დავალებების არარეალობაში ხომ არ უნდა ვეძიოთ?**

— ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა სახელმწიფოს მეთაურის დავალებები რამდენად რეალურია შესასრულებლად. განკარგულებების, რეზოლუციების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათში ძირითადად გათვალისწინებულია პრობლემების ირგვლივ არსებული რეალური გარემოებანი, განსაზღვრულია მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, შესრულების რეალური ვადები. მიზეზი უფრო ღრმა არის და მას განსაზღვრავენ არა მარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური ფაქტორებიც. ერთ-ერთი უმთავრესი სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების სტრუქტურებისა და მათი საქმიანობის მექანიზმების ერთგვარი გაუმართაობაა. სახელმწიფოს მეთაურის დავალებების უდიდესი ნაწილი შესაბამისობაშია საზოგადოების განვითარების ტენდენციებთან. მაგრამ ამ დავალებათა შესრულების ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მეთაურის მიერ აღებულ ახალ კურსს, მოთხოვნებს, მართვის ფორმებისა და მეთოდების მასშტაბურობასა და ტემპებს ველარ შეესაბამება არსებული მინისტრთა კაბინეტისა და სამინისტროების საქმიანობაში ჩადებული შესრულების მექანიზმები, მომუშავე კადრები, საშემსრულებლო დისციპლინა.

აქ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, გასაგები მიზეზების გამო, ძველი საბჭოური სისტემისათვის დამახასიათებელი მუშაობის ფორმები და მეთოდები, რაზედაც თვითონ სახელმწიფოს მეთაურმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება. სტრუქტურების გაუმართაობის მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტან, რაც ჩვენი სამსახურის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში ვლინდება. როდესაც სახელმწიფოს მეთაური საკითხის გადაწყვეტას რეზოლუციით ავალებს პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს, იგი დავალებას უგზავნის სამინისტროებს, შემდეგ მინისტრთა კაბინეტი ამინისტროების პასუხებს, შეჯერებისა და საკუთარი გადაწყვეტილების გარეშე გზავნის სახელმწიფოს მეთაურთან. ამ შემთხვევაში მისი როლი, ვისაც სახელმწიფოს მეთაურმა საკითხის გადაწყვეტა დაავალა, გაურკვეველი რჩება, ანალოგიური მაგალითები უამრავია. ცხადია, რომ ერთბაშად ამის სრულყოფაც არ შეიძლება. ერთბაშად, ვერც ახლებურად მომზადებულ პროფესიულ კადრებს შეარჩევ და ვერც უცბად შეცვლი სტრუქტურებს. ამას დრო სჭირდება. რაღაც ეტაპი გავლილია. ვფიქრობ, შემდეგ ეტაპზე გადასვლის დრო უკვე დადგა.

ესაუბრა
**ლეილა კოშკაძე.**

იუნესკოს კონფერენცია

# „ნუ თვლით საქართველოს პატარა ქვეყნად... ქვეყნის სიდიდის განსაზღვრის იუნესკოსეული კრიტერიუმები მხოლოდ ნიჭს ეყრდნობა, ასეა საქართველოს შემთხვევაშიც“

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის პრეზიდენტის, ბ-ნ ალექსანდრე ჩიკვაიძის მოხსენება იუნესკოს 28-ე გენერალურ კონფერენციაზე 1995 წლის 28 ოქტომბერს.**

ბ-ნო თავმჯდომარევ,
ბ-ნო გენერალურო დირექტორო,
ქალბატონებო და ბატონებო,

ჩემთვის უდიდესი პატივია, იუნესკოს ამ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიღება, რომელიც ორგანიზაციის კიდევ ერთი, მტკიცე წინ გადადგმული ნაბიჯია მესამე ათასწლეულისაკენ. ნება მომეცით, აქვე, გულწრფელად მოგესალმოთ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის სახელით.

მათ, ვინც დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებას ადევნებენ თვალყურს, კარგად მოეხსენებათ, რომ იუნესკოსა და საქართველოს შორის 1992 წლიდან დაწყებული თანამშრომლობა მთლად ხელსაყრელ პირობებში არ წარმართულა. პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური კრიზისი, ენერგორესურსების ნაკლებობა, დამნაშავეობის მაღალი დონე, გაჩერებული საწარმოები, უმუშევრობის ზრდა, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის არარსებობა — აი, რის ფონზე მიმდინარეობდა ჩვენი თანამშრომლობა.

სულიერი ცხოვრების მრავალმა სფერომ, რითაც ჩვენი ხალხი მუდამ ამაყობდა, მხოლოდ ახლახან უკიდურესობამდე მისული სიტუაციის გამოსწორების ეტაპობრივი პროცესის პარალელურად დაიწყო აღორძინება, იქნება ეს თეატრი, კინო, კონცერტები, სამხატვრო გამოფენები თუ სხვა სოციალური და კულტურული მოვლენები.

დღეს საქართველო სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს. ქვეყანაში აშკარაა პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალური სტაბილიზაციის პოზიტიური ტენდენციები. მიღებულია ახალი კონსტიტუცია, შემოღებულია ეროვნული ვალუტა, მკვეთრად გამოსწორდა კრიმინოგენული ვითარება.

ა. წ. 5 ნოემბერს გაიმართება საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკური ნების გამოვლინება და დემოკრატიული არჩევნების წარმატებით განხორციელება, რაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სასიკეთო ძვრების ფონზე დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს, იქნება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის რთულ გზაზე მყოფი ქვეყნისათვის.

ქალბატონებო და ბატონებო,

მოხარული ვარ, რომ მეძლევა შესაძლებლობა მოგმართოთ იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიისა და მთლიანად ჩვენი საზოგადოების სახელით, თუ რა უაღრესად დიდ შეფასებას ვაძლევთ ორგანიზაციის საქმიანობას საქართველოში აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო იუნესკოს და პირადად მათ, ვინც საქართველოსთან თანამშრომლობის პროგრამის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა.

ბატონო გენერალურო დირექტორო,

მსურს, აგრეთვე მადლობა მოგახსენოთ პირადად თქვენ ჩემი ხალხის მისწრაფებებისა და წადილის გულთან ახლოს მიტანისათვის. თბილისში მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ბრძანეთ: „ნუ თვლით საქართველოს პატარა ქვეყნად. ამაში არასდროს დაგეთანხმებით. ქვეყნის სიდიდის განსაზღვრის იუნესკოსეული კრიტერიუმები მხოლოდ ნიჭს ეყრდნობა, ასეა საქართველოს შემთხვევაშიც“. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ შეუწყო ხელი თქვენს ორგანიზაციას და საქართველოს შორის თანამშრომლობის წარმატებულ განვითარებას.

საქართველოში იუნესკოს მიერ განხორციელებული პროექტების ჩამოთვლაც კი დიდ დროს მოითხოვს. ამ პროექტთაგან ბევრის მნიშვნელობა სცილდება იუნესკოს კომპეტენციაში შემავალ დარგების ფარგლებს და ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროზეც ვრცელდება. ასე მაგალითად, საქართველოში ორგანიზაციის უშუალო დახმარებით შექმნილი საერთაშორისო ენერგეტიკული ცენტრი უკვე იქცა ენერგიის განახლებადი წყაროების კვლევის ცენტრალურ რგოლად, რაც ჩვენს ქვეყანაში ენერგეტიკული კრიზისის დაძლევაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. ამ ცენტრის მიერ შემუშავებული პროექტი ხორცშესხმას საქართველოს სამხრეთ ნაწილში ეკოსოფლის შექმნაში ჰპოვებს. თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული იუნესკოს გარემოს დაცვის კათედრა ამ სფეროს დღეს არსებულ მოთხოვნილებათა მიხედვით განავითარებს, იუნესკო-კუსტოს ეკოტექნოლოგიის კათედრა კი ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკის სხვა დარგების პრობლემათა გადაჭრას.

ასოცირებულ სკოლათა ქსელი, დახმარება მეცნიერებათა აკადემიისათვის, მხარდაჭერა სპორტის განვითარების სფეროში — ეს გახლავთ იმ პროექტების არასრული სია, რომლებსაც იუნესკო ახორციელებს საქართველოში.

ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის აღიარებამ, ორი ქართული არქიტექტურული კომპლექსის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანამ დიდი სიხარული გამოიწვია ჩვენს მოსახლეობაში, ხელი შეუწყო მათი რწმენის შემდგომ განმტკიცებას საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტურობაში. საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელებამ მრავალი სპეციალისტი და მეცნიერი დაასაქმა. მერწმუნეთ, რომ არა სამშობლოს სიყვარული, მათი უმრავლესობა — ცხოვრების ელემენტარულ პირობებს მოკლებული — უკეთესის ძებნაში, ქვეყნის საზღვრებს დიდი ხნის წინ დატოვებდა.

ნიშანდობლივია, რომ იუნესკოს თანამშრომლობამ საქართველოსთან უკვე გამოიღო საგულისხმო შედეგები და ეს იგრძნობა კიდეც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. რეალური და სასიკეთო ცვლილებები კი ხალხის ცნობიერებაში ღრმა კვალს აჩნევს, და, ეჭვგარეშეა, ჩვენს ქვეყანაში ამ ორგანიზაციისადმი პატივისცემას განაპირობებს.

ჩვენი სამწლიანი თანამშრომლობა გენერალური დირექტორის საქართველოში ვიზიტის დროს ხელმოწერილი თანამშრომლობის მემორანდუმით დაგვირგვინდა ა. წ. ზაფხულში. მემორანდუმი განსაზღვრავს ჩვენი ურთიერთობების პრიორიტეტულ მიმართულებებს და სახავს მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებსა და ფორმებს.

იუნესკოს 1996-2001 საშუალო ვადიანი სტრატეგიისა და მომავალი ორი წლის პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტის გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო ვრწმუნდები, რომ იუნესკო ცხოვრების კვალდაკვალ მიაბიჯებს და მტკიცედ მიიწევს 21-ე საუკუნისაკენ.

ჩვენ მხარს ვუჭერთ სტრატეგიას, რომელიც ახალ რეალობათა სულისკვეთებას შეესაბამება. მხედველობაში მაქვს ისეთი პრობლემები, როგორებიცაა საყოველთაო განათლება, ოკეანეებისა და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება, ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარება, კულტურული დიალოგის გაღრმავების ახალი ფორმების ძიება, ადამიანის უფლებათა განვითარება შემწყნარებლობის სულისკვეთებით და სხვა. ამ პროგრამების განხორციელება, რა თქმა უნდა, სასარგებლო იქნება ყველა ერისათვის და მთელს მსოფლიოში უკეთესი გარემომცველი სამყაროს დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. და რაოდენ სასიამოვნოა ჩემთვის, რომ ზემოაღნიშნული მემორანდუმის ძირითადი დებულებები იუნესკოს სტრატეგიას შეესატყვისება.

ვიმედოვნებ, რომ ამ სტრატეგიულ პროგრამათა განხორციელება ახალ დამოუკიდებელ ქვეყანათა სპეციალისტებსაც დაასაქმებს. გარწმუნებთ, რომ ამ ქვეყნებს მძლავრი სამეცნიერო პოტენციალი გააჩნიათ და საყოველთაო კეთილდღეობის საქმეში მათ თავიანთი წვლილის შეტანაც ძალუძთ.

ჩვენ პლანეტის მომავლისათვის უმნიშვნელოვანეს ხანაში მოგვიწია ცხოვრება. ცივი ომის დასრულების შემდეგ ბირთვული კატასტროფის საფრთხის შემცირებამ მეორე, არანაკლებ სერიოზულ საფრთხეს, სეპარატიზმს მისცა დასაბამი, რომლის დამანგრეველი ბუნებაც მკაფიოდ გამოჩნდა აფრიკის, ბალკანეთის, კავკასიისა თუ მსოფლიოს სხვა რეგიონში.

არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ასეთი საფრთხის აღმოფხვრა ძალისხმევათა საყოველთაო გაერთიანებას საჭიროებს, ვინაიდან სეპარატიზმი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, უხილავია, სანამ თავისი გამანადგურებელი ძალით არ იფეთქებს. სეპარატიზმი პოლიტიკური, რასისტული, ეროვნული თუ რელიგიური შეუწყნარებლობიდან იღებს სათავეს, რაც, თავის მხრივ, სხვისი კულტურის, ტრადიციების, ენისა და რელიგიის უპატივცემულობაზეა დაფუძნებული.

დაუნდობელი და აგრესიული სეპარატიზმის მიზეზების დეტალური შესწავლა ჩემი ამჟამინდელი მიზანი არ გახლავთ. ეს ურთულესი პრობლემა სერიოზულ გამოკვლევასა და ღრმა ანალიზს მოითხოვს. მაგრამ ის კი ცხადია, რომ მისი პირველწყარო სწორედ შეუწყნარებლობაა. ჩვენის აზრით, აუცილებელია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ადამიანში სხვისი კულტურის, ერისა თუ რელიგიისადმი პატივისცემა გავაღვივოთ. ამ პატივისცემის განმტკიცება კი ცოდნისა და განათლების მეშვეობით თუ მოხერხდება.

ეს სწორედ ის უკიდეგანო სფეროა, რომელშიც იუნესკო უმძლავრეს იარაღად უნდა მოევლინოს კაცობრიობას.

რედიარდ კიპლინგს უთქვამს რამდენიმე ათეული წლის წინათ, რომ დასავლეთი დასავლეთია, აღმოსავლეთი კი — აღმოსავლეთი და რომ ისინი ვერასდროს ითანამშრომლებდნენ.

მაგრამ განა არა ვართ სხვადასხვა კონტინენტის ერების, რასების, კულტურებსა თუ რელიგიებს შორის მეგობრული, ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობის ღირსეული მაგალითების მოწმენი?

სიძულვილისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა, რა თქმა უნდა, მსოფლიო ინტელექტუალური პოტენციალის, ფინანსური წყაროების და მრავალი ერისა და მთავრობის კეთილი ნების გაერთიანებას, ისევე, როგორც სიმამაცეს, ენერგიასა და სულიერ სიმტკიცეს საჭიროებს.

ამ პროცესის მეთოდოლოგიის განსაზღვრა ექსპერტთა კომპეტენციაში შედის. ჩვენის აზრით კი, გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი ეფექტური მეთოდები, როგორებიცაა: უწყვეტი სწავლება, სხვადასხვა ქვეყნების ბავშვებისა და ახალგაზრდების უფრო აქტიური გაცვლა, მძლავრი თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენება, ორგანიზაციის საქმიანობაში სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტთა ჩართვა და სხვა.

აქვე აღსანიშნავია, რომ შემწყნარებლობის სწავლება სათუო მიდგომასაც გულისხმობს, რათა იდეოლოგიისა თუ ერთი კულტურული მემკვიდრეობის მეორეზე ოდნავი უპირატესობის კვალიც კი არ დარჩეს.

კარგად მესმის ამ პრობლემის დაძლევის სიძნელე, მაგრამ როგორც ნათქვამია, შეუძლებელია ის, რის გაკეთებასაც არ ცდილობ.

ა. წ. ზაფხულში, ბ-ნი ფედერიკო მაიორისა და ბ-ნი ედუარდ შევარდნაძის პირადი ინიციატივითა და იუნესკოს ეგიდით თბილისში გაიმართა ფორუმი „კულტურათა დიალოგი, სოლიდარობა შეუწყნარებლობის წინააღმდეგ“. ამ ფორუმის ამოცანა და მიზანი სწორედ იმ მდგომარეობიდან გამოსვლის გზების ძიება იყო, რომელშიც დღეს შეუწყნარებლობის ვირუსით შეპყრობილი მრავალი ქვეყანა აღმოჩნდა. ვიმედოვნებთ, რომ თბილისის ფორუმს უკვალოდ არ ჩაუვლია და რომ მისი შედეგები, ადრე თუ გვიან, თავს იჩენს. სიმბოლური კი ისაა, რომ ეს პროცესი საქართველოდან დაიწყო, სადაც ქრისტიანულ-მართლმადიდებლური, კათოლიკური თუ ბაპტისტური ეკლესიები, მუსულმანური მეჩეთები და სინაგოგები საუკუნეთა მანძილზე მშვიდობიანად თანაარსებობდნენ.

თავს უფლებას მივცემ, შევეხო სხვა საკითხსაც, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ იუნესკოს თუ ძალუძს. აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად მრავალი კულტურული ძეგლი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა თუ საგანმანათლებლო ცენტრი განადგურდა და დაზიანდა. ჩვენ უაღრესად მადლიერნი დავრჩებით, თუ იუნესკო ამ ზარალის შესაფასებლად და შემდგომ აღდგენის მიზნით ექსპერტებისა და სპეციალისტების, ჩვენი ქვეყნის ანალოგიურ სპეციალისტებთან ერთად, გაგზავნას მოახერხებდა. ბუნებრივია რომ ამ საკითხის მოგვარებას არაერთი წელი დასჭირდება, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ კულტურული მემკვიდრეობისა და საგანმანათლებლო ცენტრების აღდგენა ამ ორი ხალხის ურთიერთობათა აღდგენასაც წაადგება, რომელთაც უხსოვარი დროიდან ერთად უცხოვრიათ.

დასასრულ კი, ნება მომეცით შეგახსენოთ, რომ 1977 წელს თბილისში ეკოლოგიური განათლების მიზნების, ხასიათის, როლისა და სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრისათვის იუნესკოსა და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის ეგიდით ჩატარდა ეკოლოგიური განათლების შესახებ საერთაშორისო კონფერენცია. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო იუნესკოს 66 წევრმა სახელმწიფომ და სხვა სამთავრობათშორისო თუ არასამთავრობათშორისო ორგანიზაციებმა.

მას შემდეგ მსოფლიო ეკოლოგიურმა, სოციალურმა, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სამეცნიერო და ტექნიკურმა პირობებმა მრავალი ცვლილება განიცადა.

დღეს კი ეკოლოგიური განათლების როლის, მასშტაბისა თუ მიზნების ხელახლა დადგენისათვის საჭიროდ მიგვაჩნია 1997 წელს მეორე კონფერენციის გამართვა, რომელიც დასახავს საერთაშორისო საზოგადოებრიობის კონსენსუსის მიღწევის გზებსა და საშუალებებს სამთავრობო, სამთავრობათშორისო თუ არასამთავრობათშორისო დონეზე.

ვსარგებლობ ამ მაღალი ტრიბუნით და მოგმართავთ თხოვნით, რომ ეს კონფერენცია ჩატარდეს თბილისში, თბილისის 1977 წლის კონფერენციის 20 წლისთავზე.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ იუნესკოსა და მისი გენერალური დირექტორის მოღვაწეობა ახალ სიტუაციებშიც ახალ რეალობათა შესატყვისი იქნება. იუნესკო უდავოდ ის ორგანიზაციაა, რომელსაც ძალუძს დაუპირისპირდეს ახალ გამოწვევებს და წარმატებით დაძლიოს კიდეც წარმოქმნილი პრობლემები, რამეთუ ბრძენს უთქვამს, ახალ ოკეანეს ვერ აღმოაჩენ, თუ თვალსაწიერიდან ხმელეთის დაკარგვას უფრთხი.

გმადლობთ.

ჟამი დიდი არჩევნისა

# მე მჯერა ჩემი ერის...

**ამ წერილს იმიტომ კი არ ვწერ, რომ ჩრდილი მივაყენო საქართველოს პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატს, ღმერთმა დამიფაროს, პირიქით. მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, რომ ედუარდ შევარდნაძეზე უკეთესი სტრატეგი, მსოფლიო მასშტაბის უკეთესი დიპლომატი, რომელიც ნებისმიერი ჩიხიდან გამოიყვანს საქართველოს და დააყენებს სწორ გზაზე, მე არ მეგულება.**

მოხდა ისე, რომ ამ ბოლო პერიოდში ორი გადასახედიდან მომიხდა შემეხედა საქართველოსათვის. ჯერ ერთი, ომის პერიოდში, სოხუმიდან 13 თვის განმავლობაში. დღეს კი დევნილი, მაგრამ დიპლომატის სტატუსით ევროპის გულიდან, საფრანგეთიდან ვუყურებ მას. ორივე შემთხვევაში დავრწმუნდი, რომ საქართველო ედუარდ შევარდნაძის გარეშე ვერ გავა ფონს.

აფხაზეთში ედუარდ შევარდნაძეს ერთი მცდარი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. მაგრამ მესამე ქვეყნის რეაქციული ძალების მზაკვრულმა მოქმედებამ და თვითონ ზოგიერთი ქართველის ბინძურმა მიზნებმა — აშენებულიყვნენ ქვეყნის უბედურებით, დროებით დაგვაკარგვინა საქართველოს ეს ძირძველი მხარე.

უცხოეთის გადასახედიდან როდესაც ვუყურებ ჩემს სამშობლოს, აქედან უფრო სხვანაირად ჩანს იგი. აქ ჩემი ქვეყნის ყველა დეტალი, ავიც და კარგიც ერთ სასწორზეა დადებული. ერთ მისხალს არავინ მოგიმატებს, მაგრამ ერთ მისხალსაც არ დაგაკლებენ. ყველაფერი ცუდი, რაც კი ჩაგვიდენია საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ისე კარგად აქვთ აღნუსხული და დადებული სასწორის ერთ მხარეზე, რომ თითქოსდა რენტგენის სხივებზე გაუშუქებიათო. ახლა არ იკითხავთ, რა უდევთ სასწორის მეორე პინაზე? საქართველოს რესურსების სიუხვე, ჩვენი დანგრეული ეკონომიკა და ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, როგორც ამ ეკონომიკის ოსადგენად საჭირო ინვესტიციის გარანტი.

სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწოროთ, სხვა ალტერნატივა ვერ ვნახე. მოვიყვან ცოცხალ მაგალითებს. ჩვენმა საელჩომ შესთავაზა საფრანგეთის ავტოსამშენებლო ქარხანას „რენოს“, ქუთაისის ავტოქარხნის ბაზაზე სამგზავრო ავტობუსების წარმოება, მეორე ფრანგულ ფირმას „ტექნომას“ ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების საწარმოს ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოშვება. კონცერნ „რონ პულენკს“ რუსთავის „აზოტი“-ს ბაზაზე პესტიციდების სინთეზი. ინგლის-საფრანგეთის ერთობლივ საზღვაო კომპანიას ფოთის გემთსაშენებლო ქარხნის ინვესტირება, მთელ რიგ ფრანგულ კონცერნებს სენაკის ხალიჩების ფაბრიკის ინვესტირება, რკინიგზის ხაზების მოდერნიზირება, მინიჰესების მშენებლობების დაფინანსება. საქართველოს რძის ქარხნებში „დანონი“-ს ტექნოლოგიური ხაზების დანერგვა, საირმის საკურორტო ზონის კეთილმოწყობა და მისი საერთაშორისო ცენტრად გადაქცევა, ფარმაცევტულ და საპარფიუმერიო ქარხნებში ფრანგული ტექნოლოგიის ინვესტირება, მსოფლიოში ცნობილი ფირმების „ფილიპსი“-ს, „ქრისტიან დიორი“-ს და „ნინა რიჩი“-ს მაღაზიების გახსნა და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი ფირმების და კომპანიების ბიზნესმენები ფრიად დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხებით. უმრავლესობას

### ელექტორატი

[illegible]ბილი აქვთ საინვესტიციო თანხების რაოდენობა და მათი საქართველოში დაბანდების გრაფიკი. მაგრამ ჩვენმა ყველაფერმა ცუდმა, რაც კი ჩაგვიდენია და რასაც დღესაც ვაგრძელებთ, შეაყოვნა ისინი. 29 აგვისტოს უტიფრობამ კი აიძულა, ზურგი შეექციათ ჩვენთვის, როდესაც საელჩოდან ტელეფონით ვახსენებთ ხოლმე თავს და ვპატიჟებთ მოლაპარაკებების გასაგრძელებლად. ისინი, რა თქმა უნდა, მოდიან, მაგრამ საუბრობენ მხოლოდ ჩვენს კონსტიტუციაზე, მის მნიშვნელობაზე, უცხოური ინვესტიციების დაცვის კანონზე, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე და ბოლოს აშკარად გაუსვამენ ხაზს, რომ თუ საქართველოს პრეზიდენტი იქნება ედუარდ შევარდნაძე, მაშინ მთელი დასავლეთი დაიძვრება ჩვენი ეკონომიკის აღსადგენად.

ჩემო ქართველებო, ჩვენ არ გვაქვს საბედისწერო შეცდომების უფლება. მე მჯერა ჩემი ქართველი ერის გონიერების და სიდინჯის. იგი საბედისწერო შეცდომებს არ გაიმეორებს ამ არჩევნებში მაინც.

**ავთანდილ ძაგანია,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საელჩოს მრჩეველი საფრანგეთში.**

პარიზი, 1995 წლის 25 ოქტომბერი.

**პრეზიდენტობის კანდიდატთა და ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელთა გამოსვლებში ერთი რამ მენიშნა — ისინი ადანაშაულებენ ედუარდ შევარდნაძეს ქვეყნის დაქცევაში და ეროვნული ინტერესების ღალატში. მაინც და მაინც — ედუარდ შევარდნაძეს და სხვას არავის, არავინ არ ლაპარაკობს საკუთარ პასუხისმგებლობაზე ქვეყნის წინაშე, არ აკრიტიკებენ ერთმანეთს (არადა, უამრავი მასალაა ამისათვის) და მხოლოდ ედუარდ შევარდნაძე ამოუღიათ მიზანში.**

# უნაკლო არავინ არის

არავინ ამბობს იმას, რომ შევარდნაძის კრიტიკა არ შეიძლება. მეფე გიორგივით ედუარდ შევარდნაძესაც შეუძლია თქვას: „მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამ ქვეყნად როგორც სახელმწიფოს მეთაურს, პოლიტიკოსს, ასევე როგორ კაცს“. მარცხიც ბევრი განუცდია, მრავალი შეცდომაც მოსვლია, მისი საკადრო პოლიტიკაც ხშირად სამართლიანი კრიტიკის საგანი გამხდარა, მაგრამ ედუარდ შევარდნაძეს დამსახურებაც და ღირსებაც ძალზე დიდი აქვს.

აბა, ვის იცნობს მსოფლიო საქართველოში ყველაზე უკეთ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან, რატომაა ასე დაინტერესებული დასავლეთი, რომ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გახდეს? იმიტომ, რომ მას იცნობენ, ენდობიან და სტაბილურობის გარანტად მიიჩნევენ. ედუარდ შევარდნაძე ამასთან გაბედული, უშიშარი და პრინციპული ლიდერიცაა, შეუძლია ლავირება და ღირსეულ კომპრომისებზე წასვლა. ამის ნათელი მაგალითია ახალი კონსტიტუცია. მას შეუძლია ბევრის მოთმენა და ატანა ქვეყნის ინტერესების გულისთვის. რაც მან პარლამენტში მოითმინა და აიტანა, ამას ყველა ვერ მოახერხებდა. ამიტომაც უთქვამთ, ვინც მოითმენს, ის მოიგებსო.

ყველაზე მძიმე მისთვის 1993-94 წლები იყო, როცა ქვეყანა დაშლის პირას მივიდა, მისი რეიტინგი უაღრესად დაეცა. მაგრამ ხომ გაუძლო, ძალა მოიკრიბა და წლევანდელი წლიდან სასიკეთო ცვლილებებს ჩაუყარა საფუძველი ქვეყანაში. მას ერთბაშად არ შეეძლო, და ამიტომ ნელ-ნელა ჩამოაშორა კრიმინალური და დამნაშავე ელემენტები ხელისუფლებას და საქმეს. მე მჯერა, რომ ის ამ ბრძოლას ბოლომდე მიიყვანს და ამ ბრძოლაში ახალგაზრდა, წესიერ და განათლებულ კადრებს დაეყრდნობა.

აბა, ახლა გადავხედოთ პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებს. მათ შორის უდავოდ გამოირჩევა აკაკი ბაქრაძე. მაგრამ რადგანაც პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, ხალხი ბოლომდე ვერ აღიქვამს მას პოლიტიკოსად. ჩვენ მას ვიცნობთ და ვეთაყვანებით როგორც კრიტიკოსს, მწერალს, და რთულია მისი წარმოდგენა როგორც საქართველოს პრეზიდენტისა, მიუხედავად ზემოაღნიშნული ღირსებებისა, მას პოლიტიკოსის გამოცდილება არა აქვს.

ღარიბაშვილი და ლიპარტელიანი ჯერაც ახალგაზრდები არიან და გამოუცდელები. პრეზიდენტობისათვის კი მარტო სურვილები და დაპირებები არ კმარა.

ჯუმბერ პატიაშვილი უღირსი კაცი ნამდვილად არ არის, მაგრამ იგი უკვე იყო ქვეყნის ხელმძღვანელი და თავი მაინცდამაინც ვერაფრით გამოიჩინა, მარტო შევარდნაძის კრიტიკით და ცარიელი დაპირებებით ვერ გავა ფონს. ჩვენმა ხალხმა მას შეუნდო 9 აპრილი, მაგრამ ხელისუფლება, რომ კვლავ ჩააბაროს, აღარ მგონია.

ისეთ ოდიოზურ პიროვნებაზე, როგორიც პანტელეიმონ გიორგაძეა, ლაპარაკიც კი აღარ ღირს. მარტო ასეთი უვარგისი და მოღალატე შვილის აღზრდისათვის არ ენდობა მას ნორმალური ადამიანი. მისი ოცნება კი სსრ კავშირის აღდგენა და ამით საქართველოს სამუდამო დამონებაა. ტყუილად კი არ ამზადებდნენ მის ვაჟს შევარდნაძის შემცვლელად შავი ძალები რუსეთში. ეს არის ყველაზე საშიში და არასასურველი კანდიდატი ამ სიაში.

აბა შევადაროთ ეს კანდიდატები ედუარდ შევარდნაძეს და დასკვნების გამოტანა მკითხველთათვის მიმინდია.

მე მჯერა, რომ შევარდნაძე ხალხის ამ მძიმე სოციალურ მდგომარეობასაც გამოასწორებს და ხალხს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს. ის ვალდებულია, რომ ეს გააკეთოს. ამისათვის კი ერთხელ კიდევ უნდა ვენდოთ ყველანი, ქართველიც და არაქართველიც, ვისაც მშვიდობა, წესრიგი და სტაბილურობა აინტერესებს. ხალხს კი, ვფიქრობ, შინაგანად არჩევანი უკვე მოხდენილი აქვს, მას ასე ადვილად ველარ გააბრიყვებ. ამ იმედებს ხალხი კვლავ ედუარდ შევარდნაძეს უკავშირებს.

**ვაჟა შუბითიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

## ცენტრალური საარჩევნო კომისიის საინფორმაციო განყოფილების

# განცხადება

**საქართველოს** უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ გააუქმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება რეგისტრაციიდან პარლამენტის წევრობის შემდეგი კანდიდატების მოხსნის შესახებ:

| | |
|---|---|
| ცინცაძე თამაზი | 83 საარჩევნო ოლქი; |
| ონიანი ჯაბა | 26 საარჩევნო ოლქი; |
| მიქელაძე ზურაბი | 8 საარჩევნო ოლქი; |
| ცინდელიანი ლია | 1 საარჩევნო ოლქი; |
| ჩაბუნაშვილი ოთარი | — შესაბამისი პარტიული სია; |
| ქვანია იოველი | 7 საარჩევნო ოლქი; |
| სურგულაძე ლამარა | 3 საარჩევნო ოლქი; |
| როსტიაშვილი ზურაბი | — შესაბამისი პარტიული სია; |
| ლაბარტყავა აკაკი | 63 საარჩევნო ოლქი; |
| ხარატიშვილი იოსები | 6 საარჩევნო ოლქი; |
| აიდინოვი ვიტალი | 25 საარჩევნო ოლქი; |
| ზანქალიანი მურთაზი | — შესაბამისი პარტიული სია; |
| ყიზილაშვილი შოთა | 18 საარჩევნო ოლქი; |
| ჯანჭღავა რევაზი | 64 საარჩევნო ოლქი; |
| ნადარეიშვილი თამაზი | — შესაბამისი პარტიული სია; |
| ფაცაცია ოთარი | 67 საარჩევნო ოლქი; |
| მარგიანი ავთანდილი | 21 საარჩევნო ოლქი; |
| აბალაკი გივი | 32 საარჩევნო ოლქი; |
| ლორთქიფანიძე გიგა | 2 საარჩევნო ოლქი; |
| პაატაშვილი თედო | 25 საარჩევნო ოლქი; |
| ბერუაშვილი გელა | — შესაბამისი პარტიული სია: |
| უაჭიური გივი | 12 საარჩევნო ოლქი. |

სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით ხსენებული პირები დატოვებული არიან პარლამენტის წევრობის კანდიდატებად.

## ცენტრალური საარჩევნო კომისიის საინფორმაციო განყოფილების

# განცხადება

**საქართველოს** რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრის, თამაზ დაუშვილის საცხოვრებელი ბინისა და სამუშაო კაბინეტის ჩხრეკის შედეგად ნაპოვნია მაკაროვის სისტემის პისტოლეტი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელთ არსებულ ოქმში თამაზ დაუშვილის საცხოვრებელი ბინისა და სამუშაო კაბინეტის ჩხრეკის შესახებ აღნიშნული იარაღის აღმოჩენა არ დასტურდება.

ცენტრალური საარჩევნო კომისია თხოვს პროკურატურის პრესცენტრს, თავი შეიკავოს შეუმოწმებელი ინფორმაციების გავრცელებისაგან, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება პარლამენტის წევრობის კანდიდატს.

საგადასახადო სამსახური: აქტიურობა და შედეგი

# ბიუჯეტი ივსება!

**სახელმწიფო ბიუჯეტი კარგახანს ელოდა შევსებას. დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმ გადაწყვეტილებათა რეალიზებას, რომელსაც ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილიზაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.**

და აი, რესპუბლიკის ეკონომიკაში არსებული სირთულეების მიუხედავად, ხელისუფლებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ერთობლივი პროგრამებით დასახული ღონისძიებების განხორციელებამ ნაყოფი გამოიღო. 1995 წლის 9 თვეში შენარჩუნებულია ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ტენდენცია, რაც პრაქტიკულად გამოიხატა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი საპროგნოზო მაჩვენებლების დიდი გადაჭარბებით შესრულებით.

1995 წლის 9 თვეში რესპუბლიკის ბიუჯეტის საერთო შემოსავლებმა 142,4 მილიონი ლარი შეადგინა, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ პროგნოზირებულ მაჩვენებელს 11,5 მილიონი ლარით ანუ 8,8 პროცენტით აღემატება. ბიუჯეტის საერთო შემოსავლები შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შვიდჯერ და მეტად გაიზარდა და 1994 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავალს თითქმის ორნახევარჯერ სჭარბობს.

ბიუჯეტის საერთაშორისო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულება უზრუნველყოფილია ყველა ძირითადი საგადასახადო შემოსავლებით.

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ერთადერთი მაჩვენებელი, რაც წლის დასაწყისში აფერხებდა ბიუჯეტის გეგმების შესრულებას, ჰუმანიტარული დახმარებებით და კრედიტებით შეძენილი ფქვილისა და ხორბლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები იყო. სხვადასხვა ღონისძიების განხორციელების შედეგად პურის რეალიზაციით მიღებული შემოსავლებიდან მობილიზებულია 47,6 მილიონი ლარი, გეგმის ზევით შესულმა თანხებმა 4,8 მილიონი ლარი შეადგინა.

იანვარ-სექტემბერში რესპუბლიკის ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების ნახევარზე მეტი უზრუნველყოფილია ქალაქ თბილისის მიერ. ამავე პერიოდში ბიუჯეტში გეგმის ზევით შემოვიდა იმერეთის რეგიონიდან — 1,1 მილიონი ლარი, კახეთიდან — 535 ათასი, სამეგრელოდან — 239 ათასი,

შიდა ქართლიდან — 264 ა
სია, მცხეთა-თიანეთის მხარი
265 ათასი ლარი და ა. შ. აღ
ნულ რეგიონებში მესამე კვ
ტალში მიღწეულია ბიუჯეტის
ერთო შემოსავლების ზრდის ტ
პი წინა თვეებთან შედარე
30-35 პროცენტის დონეზე.

ცხრა თვეში მოზიდულია
მილიონი ლარით, ანუ 128,2 პ
ცენტით მეტი სხვადასხვა მო
რებლები და არასაგადასახ
შემოსავლები.

დამატებითი წყაროების გ
ძებნისა და საშემოსავლო ბ
განმტკიცების საქმეში დიდი წ
ლი მიუძღვით ადგილობრივი
რთველობისა და საგადასახ
ორგანოთა მუშაკებს. რესპუბ
კის საგადასახადო სამსახური,
სი რეგიონული და ადგილობრ
ორგანოები თავის სიტყვას ა
ბენ ქვეყნის ტერიტორიაზე
რის ერთადერთ საგადასახ
საშუალებად გამოცხადებასთან
კავშირებულ ღონისძიებათა
ორციელებაში. საგადასახადო
განოების მიერ შემოწმების
ეგად გამოვლენილია ეროვნ
ვალუტის გამოყენების წეს
დარღვევის შემთხვევები, შ
ნილია ადმინისტრაციულ ს
თალდარღვევათა 100-ზე მეტი
მი და შესაბამისი მასალები
დგენილია შესაბამისი ქალა
სა და რაიონების სასამართ
ებში.

— შემოწმებები ადასტუ
ენ, რომ რესპუბლიკის მო
უმრავლეს ობიექტზე ძირით
დაცულია ეროვნული ვალ
გამოყენების წესები. შეუფე
ლად მიმდინარეობს ლარის მ
ცევა, ყოველდღიურად მცირ
ამ სფეროში სამართალდარღ
თა გამოვლინების ფაქტები
ტენდენცია შეუქცევად ხას
იღებს — კმაყოფილებით აღ
ავს რესპუბლიკის საგადასახ
სამსახურის უფროსი დავით
ლარიძე.

საგადასახადო სამსახური, მი
გიონული და ადგილობრივი
ნაყოფები მაქსიმალური ინ
ობით იმუშავებენ ფულის
რმასთან დაკავშირებული
ლემების გადაწყვეტისა და ბ
ტის შემოსავლების დავალ
შესრულების უზრუნველსაყ
— ეს გახლდათ იმ თათბირ
ნარის ლაიტმოტივი, სადაც
დასახადო სამსახურის მუშ
ცხრა თვის მუშაობის შედ
შეაჯამეს.

**ბექა ჭე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟამი დიდი არჩევნისა

# „თანადგომა“ არის ახლად შექმნილი პოლიტიკური კავშირი, რომლის დაფუძნება ჩვენი ქვეყნის უპირველესმა სატკივარმა— აფხაზეთმა განაპირობა. სახელწოდებაც— „თანადგომა“ აქედან იღებს სათავეს.

ვახტანგ გოგუაძე:

## ჩვენი კავშირის მიზანია დროის წინაშე ნაკლები საბოდიშო ჰქონდეს

**...1992 წლის** 14 აგვისტოს ბ-ნმა ედუარდ შევარდნაძემ დამირეკა და მითხრა, — ბი-ბი-სის კორესპონდენტი მეკითხება, რატომ შეიყვანეთ ჯარი სოხუმში, მე მეკითხება — შენ ხომ არაფერი გაგიგიაო. მეც მკითხეს ბატონო ედუარდ და ახლა ვაპირებდი სწორედ თქვენთვის მეკითხა ამის შესახებ-მეთქი... როდესაც ამ საბედისწერო შეცდომის შესახებ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ახმაურდა, სახელმწიფოს მეთაური არავის არაფერს აბრალებდა. ყველას ბრალს თვითონ იღებდა თავზე. ამან პოლიტიკური აზრის დაბნეულობას რამდენადმე შეუწყო ხელი. პარლამენტის სხდომებზე ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ხშირად აყვედრებდნენ, ზედმეტი უფლებები მოგეცით, უკვე დიქტატორი ხართო. სინამდვილეში რა გაირკვა: 1995 წლის 29 აგვისტოს შემდეგ თვალსაჩინო გახდა, რომ საქართველოში არსებობდა ძალები და იარაღი, რომელსაც ვერ ფლობდა სახელმწიფოს მეთაური. მისთვის ნაადრევად ხელის მოკიდებაც მინიმუმ სამოქალაქო ომი გახლდათ. ასე რომ ჩვენ გაცილებით მეტს მოველოდით, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო. ამას უკავშირდება საყვედურები — საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით. მართლაცდა, კადრების დანიშვნა ხდებოდა სიტუაციის გათვალისწინებით. უნდა დადგეს დრო, როცა ეს პროცესი განხორციელდება კადრების პროფესიონალური შესაძლებლობითა და საქმის გაძღოლის მიზანშეწონილობით.

დღეს არავინაა ისეთი გულუბრყვილო, აფხაზეთის ტრაგედია შემთხვევით ფაქტად მიიჩნიოს. იგი იქმნებოდა ათეული წლების განმავლობაში. ბოლოს, როდესაც იმპერიის მიმავალი ძალები მთელი გააფთრებით გამოვლინდნენ, აფხაზეთში ეს უთანასწორო, უმართავი პროცესი გახლდათ, როგორც ერთი მხრივ, ისე მეორე მხრივ. დროის მანძილი სჭირდება, რომ ამ ტრაგედიიდან მკაფიო სურათი დავინახოთ. თუ ცოტა სიღრმეში ჩავხედავთ საქმეს, შეიძლება ნაფლეთებად ქცეულიყო ქვეყანა...

**„თანადგომის“ III კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვიდან.**






გენო კალანდია:

## სისხლის ყვავილი ამოდის ზღვიდან

სისხლიანია ჩემთვის ივლისი,
ქალაქის ქუჩა, ქვაფენილი, ბაღის ხეები,
სისხლის ყვავილი ამოდის ზღვიდან.
ოქროსთმიანი დგას ანგელოზი
პალმების ტევრში და სინათლეში.
ჩემო საწყალო, საბრალო ძმაო,
რა გემართება ზესკნელის პირზე?!
საით გაგირბის წყეული ფიქრი?!
მწვანე სასმურში საწამლავი გისხია ჩემთვის,
უბეში დანას, ღრიანკალს მალავ...
არ გაიპრება ვარსკვლავი ორად,
არ აყვავდება ლაჟვარდები, ტბები ბრმა თვალში.
მზე ჩაიბრუნე, სინათლე სულში.
მრავალჟამიერს ჩაჰკიდე ხელი,
ჩაჰკიდე ხელი ოდოიას — მიწის ღვთაებას,
მორდუს ნათელ ბილიკზე გადი.
ის შინდისფერი ახალუხი, წულა-მესტები
დოლში, ქორწილში მოგიხდება კვლავინდებურად.
არ გაიპრება საფლავი ორად,
არ გაივლება ახალი კვალი.
შურისძიების, სიძულვილის ყვითელი ხვატი
ჯერ სხეულს დაშლის, მერე სალოცავს.
შაშვის ხმას, მერცხლის სუფთა კრიმანჭულს
მოგტაცებს ქარი — ქვიშისფერი მგელი ტრამალის,
თურაშაულის, ვარდის პატრონი
ყინულის თეთრი ქოშებით ივლი,
ჩახვალ-ჩაჰყვები უფსკრულის ღარებს,
ჩრდილივით ჩაღმა ჩაილევი, ჩაიკარგები.
არ გაიპრება ეს გული ორად,
არ გაივლება ორნატი შენი.

## „თანადგომის“ წევრები მთელი წლის მანძილზე სისტემატიურად ხვდებოდნენ აფხაზეთიდან და ცხინვალიდან ლტოლვილებს, რომლის მიზანს შეადგენდა არსებული მდგომარეობის გაცნობა-გათავისება, ხელისუფლების ორგანოებში მოსაგვარებელი საკითხების დაყენება და მათ შესრულებაზე კონტროლის დაწესება.

## საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზეთ ციფრი

## 41

# 5 ნოემბერი არჩევნების დღეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟამი დიდი არჩევნისა

# საქართველოს მოქალაქეთა კავშირი (45)

**საქართველო** განიცდის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პერიოდს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში. ჩვენი მოვალეობაა გამოვიყვანოთ ქვეყანა კრიზისული მდგომარეობიდან.

დღეს სასიცოცხლოდ აუცილებელია ორგანიზებული პოლიტიკური ძალა, რომელიც წინ აღუდგება ჩვენი ქვეყნის მტრებს, ერთ მუშტად შეკრავს და აამოქმედებს ჩვენი საზოგადოების დემოკრატიულ, საღ, რეფორმატულ პოტენციალს. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი სწორედ ამ მიზნით შეიქმნა.

თავისუფლება, კანონიერება, საკუთრება — აი ის ძირითადი პრინციპი, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი პრობლემები. ჩვენი მიზანია — თავისუფალ მოქალაქეთა საზოგადოება, სადაც ნებისმიერი ადამიანის უფლებები უმაღლესი პრიორიტეტია, სადაც ქვეყნის კეთილდღეობა დაფუძნებულია კერძო საკუთრებასა და თავისუფალ კონკურენციაზე, სადაც სახელმწიფო ძალაუფლება შეზღუდულია კანონით, ხოლო კანონი უზენაესია და განუხრელად სრულდება.

ერთიანი, სტაბილური და შეძლებული საქართველო — ეს არის ქვეყანა, რომლის კეთილდღეობა მისი მოქალაქეების კეთილდღეობას ემყარება. დემოკრატიული საქართველო — ეს არის საზოგადოება, რომელიც ხალხის ზნეობრივ, პატრიოტულ და კულტურულ ტრადიციებზეა აგებული.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი უარყოფს ნებისმიერი სახის ექსტრემიზმს. მისი მოქმედების ზნეობრივი საფუძვლებია — არაძალადობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი პატივისცემა, სინდისისა და მრწამსის თავისუფლება, რასობრივი, ნაციონალური, რელიგიური თუ კლასობრივი განსაკუთრებულობის უარყოფა.

მოქალაქეთა კავშირში გაერთიანებული არიან ისინი, ვისთვისაც თავისუფლება და ადამიანის უფლებანი ლიტონი სიტყვები არაა, ვისაც სწამს, რომ მხოლოდ თავისუფალი ადამიანების თავისუფალ შრომას შეუძლია დააყენოს ქვეყანა კეთილდღეობისა და აყვავების გზაზე. კავშირი ილვწის იმისათვის, რომ შექმნას თავისუფალ მოქალაქეთა სახელმწიფო, რომელშიც ყოველი მოქალაქე ისარგებლებს თანაბარი უფლებებით. ამავე დროს, ყველა მოქალაქეს ექნება განსაზღვრული ვალდებულება საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

ღია დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების, ქვეყნის აღმავლობის გზაზე დადგომის, პიროვნული იდეალების განხორციელების აუცილებელ პირობად მოქალაქეთა კავშირი კერძო საკუთრების დამკვიდრებას მიიჩნევს.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მიზანია კანონის უზენაესობაზე დამკვიდრებული ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება, გამიჯნული უნდა იყოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა ფუნქციები, ხოლო მათი შეთანხმებული ურთიერთქმედების საფუძველს კი ქვეყნის კონსტიტუცია უნდა წარმოადგენდეს.

პრეზიდენტი — სახელმწიფოს უმაღლესი აღმასრულებელი — უშუალოდ წარმართავს მთავრობის საქმიანობას. იმავდროულად, პრეზიდენტი ქვეყნის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტია.

პარლამენტის უმთავრეს საქმიანობას კანონშემოქმედება უნდა წარმოადგენდეს. იგი სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი უნდა გახდეს.

საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი მთავრობის ფორმირებისა და მუშაობის წესი. სამინისტროების მიერ მათ დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო ქონების მფლობელობა და განკარგვა უნდა შეიცვალოს შესაბამისი დარგის სტრატეგიული განვითარების პოლიტიკის განსაზღვრით და მის განხორციელებაზე ზედამხედველობით. შესაბამისად, სამინისტროებიც ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების და არა დარგობრივი პრინციპების საფუძველზე უნდა შეიქმნას.

კანონის უზენაესობის დამკვიდრება შეუძლებელია თავისუფალი და დამოუკიდებელი სასამართლოს გარეშე, რომელიც მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს ემორჩილება. მოქალაქეების განუკითხაობისაგან დასაცავად აუცილებელია შიდა კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და საქართველოს კონსტიტუციის დაცვა მთელს მის ტერიტორიაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებები კონსტიტუციურ ნორმებს უნდა ეყრდნობოდეს.

საქართველოს სახელმწიფო უნდა იყოს საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობის გარანტი, განურჩევლად ეროვნული, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა. ამასთან, ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური თვითმყოფადობის, მშობლიური ენის, კულტურის, ტრადიციების დაცვა და განვითარება სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

მოქალაქეთა კავშირი თავის უმთავრეს ამოცანად ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას მიიჩნევს. ლტოლვილთა ტრაგედია თითოეული ჩვენგანის ტრაგედიაა. უკლებლივ ყველა ლტოლვილი უმოკლეს ვადაში და ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უნდა დაუბრუნდეს თავის საცხოვრებელ ადგილს. მოქალაქეთა კავშირი ყველა ღონეს იხმარს ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადასაჭრელად.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი თვლის, რომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის წარმატებით განვითარებისათვის საჭიროა „სოციალური სტიმულირების“ მეთოდის გამოყენება, რომელიც მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს შემდეგი სამი მიმართულებით:

1. კრიმინოგენური მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება;
2. მეწარმეობის განვითარებისათვის ეფექტური სტიმულების შექმნა;
3. მოსახლეობის გაჭირვებული ფენებისათვის მიზანმიმართული სოციალური დახმარების აღმოჩენა.

აუცილებელია ბოლომდე იქნას მიყვანილი შეურიგებელი ბრძოლა დანაშაულებრივი სამყაროს წინააღმდეგ, ამასთან, სახელმწიფომ უნდა შეიძინოს პრინციპულად ახალი როლი — უნდა ჩამოყალიბდეს „სოციალური დაზღვევის სახელმწიფო“, რომელიც თავად საბაზრო ძალების მეშვეობით გააფართოებს წარმოებას, შექმნის ეკონომიკური ზრდის საფუძველს.

ყველა ღონე უნდა იქნას ნახმარი ახალი ქართული ფულის, ლარისათვის ნდობის შექმნისა და მისი ეფექტიანად ამოქმედებისათვის. ლარი სტაბილური, კონვერტირებადი ვალუტა უნდა იყოს!

შემდგომი განვითარება უნდა ჰპოვოს საბანკო სისტემის რეფორმამ, უნდა მოიხსნას შეზღუდვები ბანკებიდან ნაღდი ლარის გამოტანაზე, შემცირდეს კრედიტის საპროცენტო განაკვეთი და შეიქმნას სადაზღვევო და საგარანტიო სისტემები უცხოური კაპიტალის მოსაზიდად.

უნდა მოხდეს საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია და გამარტივება, ამასთან უნდა აღმოიფხვრას გადასახადებიდან ინდივიდუალური განთავისუფლების მანკიერი პრაქტიკა.

ძირეულად უნდა შეიცვალოს არასაბიუჯეტო გადასახადების, მათ შორის სოციალური დაზღვევის ანარიცხების სისტემა — აუცილებელია ახალი საპენსიო კანონმდებლობის მიღება და კერძო სადაზღვევო კომპანიების ფართო ქსელის ჩამოყალიბება.

იმისათვის რომ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმებმა უახლოეს მომავალში რეალური შედეგები მოგვიტანოს, აუცილებლად მიგვაჩნია ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ერთიანი, გააზრებული, კოორდინირებული პოლიტიკის გატარება, კერძოდ:

— პირველი რიგის ამოცანად უნდა გამოცხადდეს ენერგეტიკული დეფიციტის დაძლევა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს ჰიდრორესურსების მაქსიმალურად გამოყენებას. ამავე დროს უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ენერგიის ალტერნატიული წყაროების ათვისების სახელმწიფო გრძელვადიანი პროგრამა;

— ჩატარდეს კავშირგაბმულობის სისტემის ძირეული მოდერნიზაცია;

— თანდათანობით შემცირდეს სახელმწიფოს როგორც ვაჭრობის სუბიექტის როლი; უნდა მოხდეს საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა გაფართოება და საგარეო ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაცია არსებული შეზღუდვების მაქსიმალურად გაუქმებისა და საგარეო ვაჭრობის რეჟიმის გამარტივების მიმართულებით;

— ჩატარდეს საბაჟო სამსახურის რადიკალური რეორგანიზაცია;

— შემუშავებულ იქნას ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და ჩამოყალიბდეს ანტიმონოპოლიური ზედამხედველობის მძლავრი სახელმწიფო სისტემა;

საქართველოში შემოღებულ უნდა იქნას კერძო საკუთრება მიწაზე. ამ ნაბიჯის გადადგმის გარეშე შეუძლებელია მოველოდეთ რაიმე სერიოზულ ძვრებს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის საქმეში. ამასთან, უნდა ჩამოყალიბდეს მიწის ბაზრის რეგულირების სახელმწიფო მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურ გადანაწილებას და მიწის რეალური ფასების დადგენას, ასევე მიწის გამოყენებაზე პასუხისმგებლობის გაძლიერებას. ამავე დროს მაქსიმალურად ხელი უნდა შეეწყოს მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების განვითარებას და პრიორიტეტულად დაფინანსდეს თანამედროვე აგრარული ტექნოლოგიების დამნერგველი პროგრამები.

უნდა შეიქმნას საქართველოს საადგილმამულო საბანკო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო დაკრედიტების სისტემის ჩამოყალიბებას იპოთეკური კრედიტისა და საკრედიტო კოოპერაციის მეშვეობით; ამავე დროს უნდა აღმოიფხვრას სოფლის მეურნეობის დაკრედიტების არასაკრედიტო უწყებების მიერ დაფინანსების პრაქტიკა.

მოქალაქეთა კავშირის ეკონომიკურ პროგრამაზე დაყრდნობით ჩვენი სოციალური გადაწყვეტილებების რეალიზება ნიშნავს:

— მიმდინარე საუკუნის დასასრულამდე ერთი მილიონი სამუშაო ადგილის შექმნასა და ამოქმედებას; 1996-1997 წლებში უმუშევართა რიცხვის შემცირებას 500 000 კაცით.

— მოსახლეობის საშუალო შემოსავლების მუდმივ ზრდას. ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში ერთ დასაქმებულზე საშუალო შემოსავლების ოდენობა გადააჭარბებს ყოველთვიურად 200 აშშ ამერიკულ დოლარის შესაბამის თანხას;

— ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორგანიზაციის დასრულებას და სადაზღვევო მედიცინაზე გადასვლისას; სოციალურად დაუცველი ფენებისათვის უფასო ძირითადი სამედიცინო მომსახურების შენარჩუნებას;

— ინვალიდების, უმწეოებისა და ხანდაზმულებისათვის დახმარებებისა და პენსიების სისტემის სრულყოფას გასაცემების მატების მიმართულებით, რათა ყოველი მოქალაქე გარანტირებული იყოს სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფისათვის საჭირო შემოსავლებით.

მოქალაქეთა კავშირი თვლის, რომ განათლების სისტემა უნდა იყოს დემოკრატიული და ავტონომიური. სახელმწიფომ სტრატეგიულ ამოცანად უნდა დაისახოს განათლებისა და პროფესიონალიზმის მატერიალური და მორალური სტიმულირება. განათლება და კეთილდღეობა არსებითად უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირს მიაჩნია, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი არის ის სტრატეგიული რესურსი, რომელიც შეიძლება გახდეს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანისა და მისი შემდგომი განვითარების საფუძველი. მისი შენარჩუნებისა და განვითარებისათვის აუცილებელია განისაზღვროს მეცნიერებისა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის პრიორიტეტული მიმართულებანი და შემუშავდეს სამეცნიერო პროექტების შერჩევის საკონკურსო-საკონტრაქტო (გრანტული) სისტემა; მეცნიერების დაფინანსების ძირითადი ნაწილი სწორედ გრანტული სისტემით უნდა განხორციელდეს.

მთლიანად უნდა გარდაიქმნას ბუნებრივი რესურსების მოხმარების მართვის სისტემა; იგი ლიცენზირების, აღრიცხვისა და კონტროლის საშუალებით უნდა ხდებოდეს, ამასთანავე, სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსების განკარგვა მხოლოდ იმ ორგანიზაციების საშუალებით უნდა მოხდეს, რომელთაც ამ რესურსების ექსპლოატაციისაგან მოგება არ გააჩნიათ.

ჩვენს ქვეყანას უნდა გააჩნდეს უნარი გადალახოს ნებისმიერი საფრთხე, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ემუქრება. დღეს, როდესაც საქართველოს შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი — აფხაზეთი — სეპარატისტების ხელშია, როდესაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილზე, ამოცანა, რომელსაც ყველა და ყველაფერი უნდა დაექვემდებაროს, არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი ძალას და ღონეს არ დაიშურებს აფხაზეთის საკითხის უსწრაფესი გადაწყვეტისათვის, — **საქართველო ერთიანი უნდა იყოს!**

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი თვლის, რომ შეიარაღებული ძალები აგებული უნდა იყოს მკაცრი იერარქიულობის, დისციპლინისა და ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის პრინციპებზე. რესპუბლიკის პრეზიდენტი უნდა იყოს უმაღლესი მთავარსარდალი. მასთან უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, რომელიც შეიმუშავებს სამხედრო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს.

საქართველოს საკმარისი თავდაცვისუნარიანობის დოქტრინიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია საყოველთაო დიფერენცირებული სამხედრო ბეგარის და ალტერნატიული სამსახურის შემოღება. საქართველოს უნდა ჰყავდეს მცირერიცხოვანი, მაღალკვალიფიცირებული, თანამედროვე შეიარაღებითა და ტექნიკით აღჭურვილი შეიარაღებული ძალები, ხოლო მათი სტრუქტურა იმ სტრატეგიულ და ტაქტიკურ ამოცანათა გადაწყვეტისათვის უნდა იყოს მიმართული, რომელიც ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული, გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობით არის განპირობებული. ამავე დროს, აუცილებელია შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის არსებობა — როგორც შეიარაღებული ძალების ასევე უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელები სამოქალაქო პირები უნდა იყვნენ.

საქართველოს უნდა ჰქონდეს მეგობრული ურთიერთობანი ყველა სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით კი ჩვენს მეზობლებთან—რუსეთთან, თურქეთთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, რომელსაც სახმელეთო საზღვარი აქვს ერთის მხრივ რუსეთთან — კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მთავარ სამხედრო ძალასთან და მეორეს მხრივ თურქეთთან, ჩრდილო-ატლანტიკური ბლოკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქვეყანასთან, სწორედ ეს განაპირობებს ორივე მხარის სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესს საქართველოს მიმართ, რაც ჩვენი მხრიდან სწორად გააზრებული, დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის გატარების საფუძველი უნდა იყოს.

სრულიად შეუძლებელია ვილაპარაკოთ ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე თუ გადაულახავ ბარიერს არ აღვმართავთ კორუფციის, ორგანიზებული დანაშაულებრიობის, ტერორიზმისა და ნარკობიზნესის წინაშე. ამ მოვლენებთან ბრძოლა არა მარტო ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერებისაკენ მიმართული ღონისძიებაა — ეს ყველა ჩვენთაგანის სამოქალაქო ვალია. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი საჯაროდ აცხადებს — კორუფციას, ნარკობიზნესსა და ტერორიზმს შეურიგებელი ბრძოლა! ყველა დონეზე, ყველა ხერხით, ჩვენ წინ აღვუდგებით ჩვენს ქვეყანაში დანაშაულებრიობისა და უკანონობის დამკვიდრებას! **საქართველოს მოქალაქეებს არ უნდა ეშინოდეთ თავიანთ ქვეყანაში ცხოვრებისა!**

**„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ და „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად ვაგრძელებთ რეგისტრირებული პარტიების (ბლოკების) წინასაარჩევნო პლატფორმების გამოქვეყნებას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მათი შემოსვლის რიგითობის მიხედვით. მასალები იბეჭდება უცვლელად, სარედაქციო ჩარევის გარეშე. ფრჩხილებში მითითებულია წილისყრით განსაზღვრული პარტიული სიების რიგითობა.**

# „აფხაზეთი ჩემი სახლია“ (7)

**პოლიტიკური** მოძრაობა „აფხაზეთი ჩემი სახლია“ არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს ხელისუფლების ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მთელი მოსახლეობის, თითოეული მოქალაქის ძალისხმევის გაერთიანება აფხაზეთის პრობლემის გადაჭრისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის.

მოძრაობა თვლის, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური გზებით მოწესრიგების მიზნით გადადგმულმა ნაბიჯებმა უდავოდ შექმნეს მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კაპიტალი: საერთაშორისო არენაზე ცალსახად დაფიქსირდა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ურყევობა; ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი აფხაზეთში, სეპარატისტული რეჟიმების რეაქციული არსი, მათი პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციის აუცილებლობა და ა. შ. მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ არის საკმარისი, უფრო მეტიც, არსებული მდგომარეობის კონსერვაცია ხელს უწყობს აგრესიული სეპარატიზმის მიზნების განხორციელებას, ქმნის რეალურ ნიადაგს სამხედრო კონფრონტაციის განახლებისათვის; აქედან გამომდინარე მოძრაობა მიიჩნევს, რომ დადგა დრო, როდესაც ფაქტობრივად იწურება კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით დარეგულირების საშუალებები და საჭიროა საქართველოს ხელისუფლებამ სერიოზულად იფიქროს მთელს ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის ალტერნატიულ გზებზე.

მოძრაობა თავის უმთავრეს საქმედ სწორედ ამ ალტერნატიული კურსის გამომუშავება და მის უმოკლეს ვადაში რეალიზაციას ესახება.

მოძრაობა აცხადებს, რომ აფხაზეთი ყველა ქართველისა და საზოგადოდ საქართველოს ყველა მოქალაქის საერთო სახლია და მიაჩნია, რომ დღეს სრულიად საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი და უპირველესი საქმეა ამ სახლში საჭირო სახელმწიფოებრივი, კონსტიტუციური წესრიგის დამყარება, მშვიდობისა და თანხმობის მიღწევა.

მოძრაობა მთელ თავის ძალისხმევას მოახმარს დევნილთა და ლტოლვილთა, ავტონომიური რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პირობების გაუმჯობესებას, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარებას.

მოძრაობა რეალისტურად აფასებს საქართველოში შექმნილ ვითარებას. მას აქვს საქართველოს აღორძინებისა და მომავალი წინსვლის საკუთარი ხედვა. ის სხვა პროგრესულ პოლიტიკურ ძალებთან ერთად აქტიურად იბრძოლებს საქართველოს ჭეშმარიტად დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის, რომელმაც ღირსეული ადგილი უნდა დაიმკვიდროს მსოფლიო თანამეგობრობაში.

ქვეყნის აღმშენებლობის პრიორიტეტულ მიმართულებად მოძრაობა მიიჩნევს: მრავალწყობიანი ეკონომიკის შექმნას; საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებების — ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას; მრავალმხრივ ინტეგრაციას ახლო და შორეულ მეზობლებთან, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან პარიტეტულ და ცივილიზებულ საფუძვლებზე.

მოძრაობას სახელმწიფოს ხელისუფლების ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავად მიაჩნია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცება, თანამედროვე, გაწვრთნილი და უახლესი შეიარაღებით აღჭურვილი ჯარის შექმნა, რომელსაც ხელეწიფება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა.

მოძრაობა თვლის, რომ აფხაზეთ-სამაჩაბლოს პრობლემის გადაჭრა და საქართველოს მთლიანობის აღდგენა არის გადამწყვეტი პირობა ქვეყნის აღმშენებლობისა და მომავალი წინსვლისა, საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობის უმთავრესი გარანტი. საქართველოს მთლიანობის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა.

მოძრაობა საქართველოს სახელმწიფოსთან ერთად იქნება აფხაზეთში მცხოვრები ყველა ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების, საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის გარანტი.

დღეს, როდესაც უკვე მიღებულია საქართველოს ახალი კონსტიტუცია, საქართველოში შეიქმნა მყარი სამართლებრივი ბაზა სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისათვის, საქართველოს ისტორიული განვითარებისა და დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ აფხაზეთს შეიძლება ჰქონდეს:

— კონსტიტუცია, რომელიც შესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და მისი შინაარსი გამომდინარეობს მხარეთა შეთანხმებიდან;

— სახელმწიფო სიმბოლიკა;

— შესაბამისი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები და სხვა; იმ საკითხების გარდა, რომლებიც ახალი კონსტიტუციით განეკუთვნებიან საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება მიეკუთვნოს ან ერთობლივ კომპეტენციას, ან აფხაზეთის კომპეტენციას.

ჩვენ აქტიურად ვიბრძოლებთ როგორც აფხაზეთის, ასევე სამაჩაბლოს პრობლემის გადაწყვეტისათვის. უახლოეს ხანებში საბოლოოდ უნდა შეფასდეს რუსეთის როლი ამ საკითხის გადაწყვეტაში, უნდა გადაწყდეს დევნილთა უპირობო და მასიური დაბრუნება საქართველოს სრული იურისდიქციის აღდგენით.

მოძრაობის დევიზია— „ერთიანი საქართველო, განახლებული და აყვავებული საერთო „სახლი“ აფხაზეთი. აფხაზეთის გადარჩენა — საქართველოს გადარჩენაა.

მოძრაობა მხარს დაუჭერს, ითანამშრომლებს და გვერდში ამოიყენებს, საქმიან კავშირს დაამყარებს და იმოქმედებს ყველა საზოგადოებრივ პოლიტიკურ ძალასთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, რომლებიც რეალურად და კონკრეტულად იმუშავებენ და იბრძოლებენ ერთიანი, გამთლიანებული, სტაბილური საქართველოსათვის.

# ბლოკი „სიცოცხლისათვის“ (54)

**რატომ** ვიღებთ ხელში ძალაუფლებას, ანუ ბლოკი „სიცოცხლისათვის“ წინასაარჩევნო პლატფორმა საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენის პროგრამა.

**გასული წლის 26-27 ივლისის უფასო პურის გაცემა საპროტესტო აქცია იყო ფასის მომატების წინააღმდეგ. ამ და კიდევ უამრავმა წვრილმა და მსხვილმა ღონისძიებებმა მხოლოდ მცირე დათმობები თუ გამოიწვია ხელისუფლების მხრიდან.**

**ცოტას მივაღწიეთ, უფრო ბევრი ვერ გავაკეთეთ, ამიტომაცაა საჭირო, რომ ვჰქონდეს განუსაზღვრელი ხელისუფლება, ცხადია, კანონისა და დემოკრატიის ფარგლებში.**

ჩვენ ახალს არაფერს გპირდებით, რასაც ვაკეთებდით, იმასვე გავაგრძელებთ, ცხადია, უკვე არა რეფერენდუმების მოთხოვნითა და ხელისუფლებისადმი ხვეწნა-[illegible], არამედ არჩევნებში გამარჯვებულის დიდი უფლებებითა და რეალური შესაძლებლობებით.

**I. გადაუდებელი საკითხები**

1. ზამთრისწინა პერიოდში დაუყოვნებლივ შემოვიღებთ საბარათო სისტემას ადამიანის სიცოცხლის შესანარჩუნებლად საჭირო ისეთი აუცილებელი პროდუქტის მიწოდებით, როგორიცაა, პური, შაქარი, მარილი, მცენარეული და ცხოველური ცხიმები, ნავთი, ასანთი, ბრინჯი, მაკარონი, ხორცი, კვერცხი, რძის პროდუქტები.

ადამიანი მიიღებს სიცოცხლისათვის აუცილებელ მინიმალურ ფიზიოლოგიურ ნორმას და სიყალბეა დემაგოგიური მტკიცება, რომ თითქოს სახელმწიფოს ეს არ შეუძლია, რომ მას საკმარისი რესურსები არა აქვს.

ქვეყანაში არსებობს უამრავი ადგილობრივი წარმოების პროდუქტი, შემოდის დიდი ოდენობით სესხით ნაყიდი საქონელი, მოქმედებს ჰუმანიტარული დახმარება უცხოეთიდან.

ყველაფერი ეს სიტუაციაშია მოსაყვანი, მაგრამ არა ისე, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა გასული წლის 23 აგვისტოს ბრძანებულებით გააკეთა, მაშინ კვარტალში 100 გრამი მარილი იყო გათვალისწინებული, ხოლო სიგარეტი სულზე 5 კოლოფი, ფასის მიხედვით, როგორც სჩანს, „მალბორო“ მოდიოდა.

2. უსწრაფესად გატარდება რადიკალური ღონისძიებები მოსახლეობის გათბობისა და ელექტროენით მომარაგების საქმეში. ხელისუფლებისაგან გადაკრული ლაპარაკი 1 ნოემბრიდან გაზის შემოტანის შესახებ, ისევე როგორც ხელფასების გაზრდის დაპირებები წინასაარჩევნო „ტრიუკი“ რომაა, ამას მთელი საქართველო ხედავს, ხოლო თუ მართლაც გაისარჯა ვინმე და 1 თვით გაზი ნამდვილად მიაწოდა მოსახლეობას, პროვოკატორობისა და სკამთმპყრობელობის განუზომელი სურვილით აიხსნება.

ჩვენ მზად ვართ, მოვამარაგოთ ხალხი ღუმელებითა და მისთვის საჭირო სათბობით, დასაწყისში იმპორტული ქვანახშირით, ტყიბულის საბადოს მთელი მასშტაბით ამოქმედებამდე.

3. შეჩერდება და შეწყდება მოსახლეობის აბუჩად აგდება სამედიცინო მომსახურების საქმეში. ჩვენ არ ავკრძალავთ ფასიან სამედიცინო სამსახურს, მაგრამ ამ კრიზისულ პერიოდში, სადაზღვევო მექანიზმების არარსებობისას, ადამიანთა ასე უმწეოდ დატოვება უბრალო უპასუხისმგებლობაა, ცხადია, თუ ამის უკან უფრო მძიმე რამ არ დგას.

4. უმაღლეს მეცნიერულ დონეზე დადგინდება მინიმალური საცხოვრებელი კალათა და ოფიციალურად გამოცხადდება ადამიანის სიღატაკის ზღვარი. დღევანდელი მონაცემებით მოსახლეობის საშუალო ხელფასი (მინიმალურზე აღარ ვლაპარაკობთ) მრავალჯერ ნაკლებია სიღატაკის ზღვარზე და ლაპარაკი რაღაც პროცენტებით ხელფასების გაზრდაზე ცოტა ცინიკურად ჟღერს.

5. სასწრაფოდ გამოქვეყნდება აფხაზეთთან და საერთოდ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული საგანგებო მასალები, გაიცემა სანქცია სამხედრო დამნაშავეთა დასაპატიმრებლად (ცხადია, სანქცია არ იქნება ფორმალური, მოვალეობის მოსახდელად). სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება მიეცემა ქვეყნის ხელისუფლების ქმედებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის გაწეულ ვაისაქმიანობაში, რის შემდეგაც დაიწყება მათი მოღვაწეობის სავალალო შედეგების დაუყოვნებელი ლიკვიდაცია.

6. პირველსავე დღეს შეჩერდება ქვეყნის ეკონომიკის დანგრევა პრივატიზების სახელით. რა თქმა უნდა, პრივატიზება, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, განსახელმწიფოებრიობა, ანუ დენაციონალიზაცია აუცილებელია, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი წესი და რიგი, საჭიროა, რომ თუნდაც იგივე პრივატიზების კანონი და პროგრამა, მის განხორციელებაზე აღარც ვლაპარაკობთ, შესაბამებოდნენ ერთმანეთს; დღეს ისინი ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის არიან, შედეგი კი სახეზეა, უმუშევრობამ წალეკა ქვეყანა, ეკონომიკა, პრაქტიკულად აღარ არსებობს.

7. წესრიგში იქნება მოყვანილი საგადასახადო სისტემა, ის უნდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სამსახურში ჩადგეს და არა პირიქით, როგორც დღესაა.

8. გამოცხადდება სახელმწიფოს ვალდებულება მოსახლეობის ანაბრებისა და პენსიების ცხოვრებასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. ადამიანი, რომელსაც პენსია დაუნიშნეს, ემსახურებოდა არა მთავრობებს, არამედ სახელმწიფოს, და სხვათა მიზეზით ის არ უნდა გაზარალდეს.

პენსიონერს შეეძლო და დღესაც უნდა შეეძლოს თავისი პენსიით 120 კგ შაქრის ყიდვა, დღეს კი მისი პენსია სიმბოლურია. ასევე, ჰქონდა კაცს 1000 მანეთი დანაზოგი საკუთარი სიბერის უზრუნველსაყოფად, თუნდაც დასამარხად ჰქონდა გადანახული, დღეს კი ნულად ექცევა; ასე არ შეიძლება, ეს ადამიანის აბუჩად აგდებაა. ამით სახელმწიფო თვითონ ითხრის ძირს და ქმნის ნიჰილისტურ განწყობილებას საზოგადოებაში.

9. ასევე არ უწყობს ხელს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების მიმართ საეჭვო სიჩუმე ხელისუფლების მხრიდან. საჭიროა მკვეთრად დაიგმოს და მიეცეს მას სამხედრო სახელმწიფო გადატრიალების კვალიფიკაცია, რათა შემდგომში მაინც აღარავის მოუვიდეს თავში მსგავსი ნგრევა სახელმწიფოსი (ყველა გადატრიალება ნგრევაა ქვეყნისა).

**II. სტრატეგიული საკითხები**

საქართველო გახდება სამართლებრივი ქვეყანა, სადაც დამყარდება არა პიროვნებების, არამედ კანონის დიქტატურა ყველა კანონი შესაბამისობაში მოვა ცხოვრებასთან და შეიქმნება მისი ყველა მოთხოვნის შესრულების რეალური შესაძლებლობა, მკვეთრად გაიმიჯნება სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება.

1. 1996 წელს დავასრულებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, შეიქმნება ქვეყნის საერთო პოლიტიკური ერთიანობის მტკიცე საფუძვლები უნიტარული სახელმწიფოს საბოლოოდ ჩამოყალიბებით.

2. საქართველოს ეყოლება ძლიერი, თანამედროვე შეიარაღებული ძალები საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების კანონის ბაზაზე, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამსახური მოქალაქის უპირველეს საპატიო მოვალეობად იქცევა.

3. ექსტრემალურ პირობებში შემოღებული საბარათო სისტემიდან ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელი ფიზიოლოგიური ნორმით თანდათანობით გადავალთ ადამიანის ყოველდღიური სრულყოფილი საქმიანობისათვის საკმარის ნორმირებულ სისტემაზე, რომელიც 2-3 წლის განმავლობაში მოგვცემს საშუალებას ქვეყანაში შეიქმნას ნორმალური საცხოვრებელი პირობები.

საქართველოში აღარ დარჩება სოციალურად დაუცველი არცერთი ადამიანი, სახელმწიფო იზრუნებს აბსოლუტურად ყველაზე გაეროს ადამიანის უფლებების დეკლარაციის ზედმიწევნით შესრულებით.

მოქალაქეთა ეკონომიკურ მომძლავრებასთან დაკავშირებით თანდათანობით გაიზრდება სადაზღვევო საგარანტიო ფასიანი მომსახურების ხვედრითი წილი, თუმცა, უფასო სამედიცინო მომსახურების უფლება, ცხადია, დარჩება ქვეყნის ნებისმიერ მაცხოვრებელს.

დაიწყება სახელმწიფოს მიერ ვალად აღებული მოსახლეობის ანაბრების გასტუმრება შეტანის დროინდელი კურსით, ხოლო პენსიები აღდგება მათი პირვანდელი მსყიდველობითი უნარიანობის ექვივალენტურ დონეზე.

4. ზემოხსენებული სოციალური საკითხების ბოლომდე წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა ქვეყნის ეკონომიკის სერიოზულ, მტკიცე რელსებზე გადაყვანა. დენაციონალიზების (პრივატიზების) სამართლიანი კანონის (პრესაში უკვე რამდენჯერმე გამოვაქვეყნეთ) შემწეობით ჩვენ განვახორციელებთ ნამდვილ საბაზრო ეკონომიკაზე (დღეს მიმდინარე პროცესი საბაზრო ეკონომიკის დისკრეტიზაციას ემსახურება მხოლოდ!) გადასვლას, სადაც წარმატებით იმუშავებს ერთმანეთის გვერდით კერძო და სახელმწიფო სექტორი ერთნაირი უფლებებით.

კაპიტალური დაბანდებების პრიორიტეტული მიმართულებები იქნება სოფლის მეურნეობის, მისი ნაწარმის გადამამუშავებელი მრეწველობის დარგები, მივაღწევთ ტურიზმისა და საკურორტო ინდუსტრიის დაჩქარებულ განვითარებას.

მოქნილ საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკაზე დაყრდნობით მაქსიმალურად გამოვიყენებთ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობით განპირობებულ ეკონომიკურ შესაძლებლობებს (სატრანსპორტო გადაზიდვები, ნავთობ და გაზსადენები...).

ოპტიმალური კანონების ცხოვრებაში გატარებით საქართველო გახდება უცხოური ინვესტიციებისათვის ნამდვილი ოაზისი, რითაც გაჩნდება ქართული ენერგეტიკის პრობლემების ერთხელ და სამუდამოდ მოგვარების შესაძლებლობა.

5. განათლება, მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება რჩება სახელმწიფოს აუცილებელი მზრუნველობის სფეროში.

ისევე, როგორც მედიცინა, განათლებაც ნებადართულია იყოს ფასიანი, მაგრამ უსახსრობის გამო განათლების მიღების გარეშე დარჩენილს ვერავის ნახავთ, ხოლო რაც შეეხება მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგებს, ცხადია, მეცენატობას მიეცემა ყველანაირი ხელშეწყობა, მაგრამ ძირითად ბაზებს სრული სახელმწიფო უზრუნველყოფა გარანტირებული ექნებათ.

6. საგარეო პოლიტიკაში საქართველო იქნება „ნეიტრალური“ ქვეყანა, რომელიც პოლიტიკურ ალიანსებში არ გაერთიანდება.

ყველა მოსაზღვრე ქვეყანასთან მას ექნება კეთილმეზობლური დამოკიდებულებაა; ეკონომიკურ საკითხებში რუსეთთან დღევანდელი ურთიერთობა. რომ არანორმალურად მიგვაჩნია, ეს არავის არ უნდა გაუკვირდეს, საჭიროა ასეთი ანომალიის დროულად გამოსწორება.

ჩვენ გავაძლიერებთ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას დიდ თურქეთთან.

დღეს ირანთან საერთო საზღვრის უქონლობა ვერ დაგვაკარგვინებს მეზობლობის სტატუსს. ირანი ძველი, ისტორიული პარტნიორია საქართველოსი და აუცილებელია მასთან დღევანდელი პასიური ურთიერთობების გადასინჯვა. ეს ყოველმხრივ სასარგებლო იქნება, როგორც ორივე ქვეყნისათვის, ისე რეგიონისთვისაც და საერთოდ, წაადგება მთელ მსოფლიოში პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებასაც კი.

7. არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტს რეალიზება არ უწერია, თუ მკვეთრად არ შეიცვალა სამართალდამცავი საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში.

რადიკალური ცვლილებები გატარდება სატრანსპორტო არტერიებში. საავტომობილო გზებზე ტექნიკური გაუმჯობესების პარალელურად აღიკვეთება ტვირთის გადაადგილების შემაფერხებელი თითიდან გამოწოვილი ბარიერები, სარკინიგზო სისტემაში აღმოვფხვრით ამდენი წლის დანაშაულებრივი წაყრუებისა თუ მფარველობის უსაშინლეს შედეგებს (დარბეულია პროფესიული კადრები, გასული წლის აპრილის გაფიცვა ხომ პატრიოტ რკინიგზელთა სასოწარკვეთილი ყვირილი იყო, უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან გულცივი, რეაგირების გარეშე რომ დარჩა).

და ბოლოს, შემდეგი არჩევნები საქართველოში ჩატარდება არც ერთი დარღვევის გარეშე ხელისუფლების მხრიდან; ის რაც ხდება დღეს, მხოლოდ უსიამოვნო მოგონებად დარჩება საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის ისტორიაში.

**„არჩევნებში მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, უფლება აქვს რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში გამოაქვეყნოს თავისი წინასაარჩევნო პროგრამა და პლატფორმა“.**

ამონაწერი „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს კანონიდან (მუხლი 48, პუნქტი 2).

## 5 ნოემბერი არჩევნების დღეა!